№305 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

„გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ მოწონების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 მაისის №976 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შეთანხმების პროექტიდან გამომდინარე, გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის - „სტანდარტული შეთანხმების წერილი გაეროს განვითარების პროგრამასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის დანერგვისა და სამინისტროთაშორისი თანამშრომლობისათვის გამოწვევებისა და ბარიერების შეფასების შესახებ UNDP/GEF პროექტზე - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ როდესაც გაეროს განვითარების პროგრამა მოქმედებს როგორც განმახორციელებელი პარტნიორი“ მოწონების თაობაზე

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის

№126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი - „სტანდარტული შეთანხმების წერილი გაეროს განვითარების პროგრამასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის დანერგვისა და სამინისტროთაშორისი თანამშრომლობისათვის გამოწვევებისა და ბარიერების შეფასების შესახებ UNDP/GEF პროექტზე - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ როდესაც გაეროს განვითარების პროგრამა მოქმედებს როგორც განმახორციელებელი პარტნიორი“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**